# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 33. | კვირა 24 მარტი 1902 წ. | გაზეთის № 1762.

# ვეგეტარიანი

(რონიდან)

1

მე გავიცანი ის ზღვის პირას, სადაც დუღს ინგლისელების თავისუფალი ცხოვრება, რომელსაც ადვილად უახლოვდები და დაახლოვებით შინაურულად გაიცნობ, თუ კი ერთხელ მიგიღეს. ის ექვსი კვირით იწვა იმ ოჯახში, რომელთანაც მე დავიარებოდი. ჩქარა ეს გარემოება შეიქმნა ჩემი ცხოვრების ერთ უდიდეს შემთხვევად. ის თავის ერის ღირსებათა განხორციელება იყო: სინათლის გამომეტყველება სახისა, არისტოკრატიული მოყვანილობა და თვალების ლაჟვარდოვანი სიღრმე, სადაც სიყვარული, თითქოს უფსკრულშიო, ინთქება. მე მაინც ჩემი გრძნობები გამოვუცხადე მხოლოდ უკანასკნელ დღეს, როდესაც იგი მზის სხივებზე ბრწყინავდა, და ქარი მის ხშირ მშვენიერ თმას და თეთრ სამოსს არხევდა. იგი შეკრთა, და ნაღვლიანისა და ნაზის ხმით წამოიძახა:

—ახ!—რატომ ვეგეტარიანი არა ხართ? რატომ ეს არ დაამტკიცეთ?

გაკვირვებით შევაჰყურე თვალები, რადგანაც მზად ვიყავი ყველაფერი მომესმინა იმისგან, მაგრამ ამას კი სრულებითაც არ მოველოდი! ვიცოდი კარგად, რომ იგი ვეგეტარიანი იყო, მაგრამ სრულებით ვერ წარმოვიდგენდი, რომ თავის სიყვარულს დაუქვემდებარებდა ამ მხოლოდ გიგიენურ რწმენას.

— ვეგეტარიანი გავხდები!—მთელი ჩემი გრძნობის სიძლიერით წამოვიძახე.

ჩემი განცვიფრება შენიშნა; ეშმაკურად ღიმილი დაიწყო:

— მართალია. თქვენ არ იცით. ჩემი ბედი მთლად ჩემი მამიდის ხელშია, ვისკენაც ზეგ მივემგზავრები. ისე კეთილი, ისე თავდადებული იყო ჩემთვის, დედაზე მეტად, რომ ერთ წუთსაც ვერ გავუწევ წინააღმდეგობას მის სურვილს... ჰო და მამიდის სურვილია, რომ ჩემი საქმრო უბრალო ვეგეტარიანი კი არ იყოს, არამედ იმას ისეთი ღირსშესანიშნავი რამ უნდა ჰქონდეს დასამტკიცებლად, რომ ყველანი ჟლაოდნენ... იგი კეთილია, ძალიან კარგი ადამიანია, მაგრამ ეს მისი ნამდვილი მრწამსია და, ვგონებ, ვერაფერი ვერ გადაათქმევინებს ამას.

სხვა გარემოების დროს ამის შესახებ ბევრს ვიცინებდი, მაგრამ ქალის ნათელ სახის წინ, მოჯადოებულმა მისი მელოდიური ხმით, დამთვრალმა მისი თმით, რომელსაც ქარი ჩემი ტუჩებისკენ მოარხევდა, ვიგრძენ შიში და აღფრთოვანება და გადაწყვეტით წამოვიძახე: — დავუმტკიცებ!



ლაზარეს აღდგენა.—სურათი პეტრე პავლე რუბენსისა

II

ხუთი დღის შემდეგ ბირმინგამში დავბრუნდი და „უდრეკ ვეგეტარიანთა“ საზოგადოებაში ჩავეწერე. მხოლოდ ამის შემდეგ შევიტყე, თუ რას მოასწავებდნენ მათი განგაში და საყვირი, კრებები დიდ დარბაზებში, რომლებიც ყოველ გვარ მწვანილეულობით იყო გატენილი, მათი მხიარული სადილები, როდესაც დამცინავი ორატორები მასხარად იგდებდნენ ხორცის მჭამელთ და ჰხატავდნენ მათ ქარებისა, წელკავისა, ქლოშინისა და თავბრუ... რეტის მსხვერპლად. მე ორჯერ თუ სამჯერ ბედნიერება მქონდა მედარაჯნა ამ საზოგადოების მჟოლისფერ დროშასთან, რომელზედაც გამოხატულია ვეგეტარიანი სამოთხეში, რომელსაც ყოველგვარი პირუტყვი ადმერთებს იმ დროს, როდესაც ხორცის მჭამელი სისხლის ზღვაში იღრჩობა. მაგრამ მე მაინც თვალსაჩინოდ, რომ ყველანი ამელაპარაკებინა, ვერ დავამტკიცე ჩემი ვეგეტარიანობა. მჭევრმეტყველი არა ვარ. მე კი ყოველთვის გარს მეხვია იმისთანა გამბედავნი, რომლებიც ორი საათობით აღგზნებულად ლაპარაკობდნენ ფეხის მოსავალზე, ქვეყნის შექმნიდან რაც კი რამ ყოფილა, და



ბ-ნი ფილიმონ ქორიძე და მისი ხორო.




წარღვნილნი შველას თხოულობენ-—სურათი კოხისა.

სტაფილოს წვენის შესახებ ისეთ სადღეგრძელოებს ამბობდნენ, რომ გამგონნი ცრემლებად იღვრებოდნენ. რას წარმოვადგენდი ამისთანა დახელოვნებულებთან? ქიაყელა უფრო მაღლა სდგას ბოასთან *) შედარებით, ვიდრე იმათთან. აგრე მე უკვე

*) ბოა უშველებელი გველია ინდოეთში და სხვა ცხელ ქვეყნებში, რომელიც თავის მსხვერპლს ყელში წაჭერით აღრჩობს, ხშირად ადამიანიც ხდება მის მსხვერპლად.

სასოწარკვეთილებას ვეძლეოდი; ნაკლებად ჯანზე მომყვან საჭმელებს ზედ ვურთავდი დამასუსტებელ ფიქრებს, რომ ერთ შაბათ დღეს, როდესაც კომიტეტის კრების შემდეგ გამოვედი, დავინახე ერთ ცარიელა ადგილის ფიცრულზე უშველებელი ხარის სისხლის ფერის განცხადება, რომელზედაც ხუთ-სანტიმეტრიან ასოებით იყო აღბეჭდილი შემდეგი:

„დღეს საღამოთი ცხრა საათზე „ჯიუტთა ხორცის მჭა-

27



იესო ქრისტე ავადმყოფთან.—სურათი მაქსისა.



იესო ქრისტე ქადაგებს გენისარეთის ტბაზე.—სურათი ჰოფმანისა

მელთა კლუბს“ ემქნება საგულისხმიერო კრება ყოველ სამთვიურ სადილის შემდეგ!“

ბოლოში კიდევ შემდეგი დამაკვირდი იყო: „ღმერთმა გაგვიჩინა პირუტყვი!“

აი, ეხლა კი მეგონა, ვიპოვე შემთხვევა, რომ თავი ვიჩინო, მეთქი

III

ცოტა ეშმაკობის წყალობით ხორცთა მჭამელთა სადილზე მოვყევი. კუთხეში ერთ პატარა მაგიდასთან დავიჭირე ადგილი სადაც ორი მოწვეული იჯდა: ერთი ღორმუცელა იყო, რომელიც თავის თეფშს თვალს არ აშორებდა, მეორე კი—ბე

რომელიც თავის ჩანგალს ძლივს არჩევდა, როდესაც პირთან ...იჰქონდა.

დიაღ, სადილი მართლა პანტაგრუელისა იყო*)—და ...ერე რა სისხლის ელფერი ჰქონდა! უმი ხორცეულობა, შეზავე...ული წითელი ფერის წვნით: შემოიტანეს უშველებელ ვერცხ...ის ლაგნით მთელი ხარი, რომელიც გატიკნული იყო შემ...ვარი ქათმებით და მტრედებით. „ხორცთა მჭამელთა“ ეს ქეი...ი უხვად ირწყვებოდა სქელ და ველურ სასმელებით: მძიმე ...ასმელ ღვინოებით და შავი ლუდით.

შვიდის ნახევარზე დაწყებული სადილი მხოლოდ ორი ...ათის შემდეგ თავდებოდა; ნუგბრის დროს ჩამოირიგეს ...ალაც ჯურის აქაფებული წითელი ღვინო, თითქოს ახალად ...ამოშვებული სისხლიაო. მაშინ ერთი მოწვეულთაგანი წამო...გა და დაიწყო:

„მე ვისურვებ ჩერჩეტა და რეაქციონერ [ვეგეტარიანთა ...აწყვეტას. ამ უკუმავალ მხეცობას (სმენა! სმენა!) თავში აუ...იათ მაიმუნების მდგომარეობამდისვე ჩვენი მიყვანა (სიცილი ...ა ტაშის ცემა). ამათ განუზრახავთ ჩვენი ძალისა, გონებისა, ...ნერგიის წართმევა, ჩვენი ერის კონტინენტის მცონარე ერე...ის წინაშე უპირატესობის წყაროსი,—ესე იგი—ხორცისა, მო...ყალენო, ძველი ინგლისის კეთილშობილ როსტბივისა (გრია...ი სამკეც ტაშის ცემისა). მოწყალენო, ღმერთმა გაგვიჩინა ...როტყვები...“

წამოვდექი. გაბედული ნაბიჯით მივუახლოვდი საპატიო ...გიდას და წამოვიძახე:

— ღმერთმა გაგვიჩინა პირუტყვები ყელის გამოსალადრა...დ კი არა, სამსახურისათვის! ღმერთი ქვეყნად მოგვევლინა ...ის ჩასაგონებლად, რომ წყნარნი და მოსიყვარულენი ვიყვ...ეთ, ხორცის ხმარება კი საჭმელში გვამძიმებს, გვაუგუნუ...ებს და გვამხეცებს!... ხორცის ჭამა გვამგზავსებს უსაძაგლესს ხოველებს...

მინდოდა გამეთავებინა, მაგრამ განცვიფრების შემდეგ ...არბაზი საშინლად აღრიანცელდა. ხორცთა მჭამელთა ტალ...ამ სწრაფად ამიტაცა, თვალის დახამხამების უმალ კარებთან ...მაგდო სტვენით და სისინით გარედ გამომისროლა. ჩემ ...ბედნიეროდ კარებთან შეგროვილი ვეგეტარიანთა (მათ ...ორის ჩვენი კლუბის თავმჯდომარეც იყო) შუა ჩავვარდნი...იყავ, რომელთაც დედამიწაზე არ დამაკარეს; ისინი აქ მო...როვილიყვნენ სადილის შემდეგ გასამართავ საგულისხმიერო ...ებაზე დასასწრებლად. სასჯელის შემდეგ დღესასწაული ...ო ეს ჩემთვის; ქება-დიდებით წამიღეს და თან მღეროდნენ **ვეგეტარიანთა მარსელიეზას:** „ჩვენ საწინააღმდეგოდ აფრიალდა ...სისხლიანებული დროშა ხორცის-მჭამლებისა“.*)

* * *

ისეთს რაღას გეტყვი, რომ თქვენ თვითონ ადვილად არ ...ხვდეთ? მეორე დღეს ჩემი სახელი ყველა გაზეთებში იყო ...ნიშნული. ორმოც და ათ რეპორტიორს იერიში მოჰქონდა ...მი კარებისკენ. „გრაფიკ“-მა ჩემი სურათიც გადაალებინა. ...ლა დამრჩენოდა, რომ ჩემი სატრფოს მამიდასთან არ გამოვცხა...ებულიყავ, რომელმაც კაცობრიობის დამხსნელსავით მიმიღო, ... მთელი კვირის განმავლობაში ვსტკბებოდი დიდებით და ...სთანავე მომჯადოებელ იდილიით.

**ორნი**

*) პანტაგრუელი სახელია რაბლეს შესანიშნავ რომანის „გარგან...ა“-ს ერთი გმირისა, რომლის დაბადებისას მამამ—გარგანტუამ—სადი...ი გამართა.

## ბ. ფილიმონ ქორიძე და მისი ხორო

ამ ნომერში მოთავსებულია ქართველი არტისტ-მომღერალი ბ. ფილიმონ ქორიძე და მისი ხორო.

ბ. ქორიძემ თავისი მუსიკალური განათლება მიიღო იტალიაში—მილანის კონსერვატორიაში; იქვე დაიწყო არტისტიული მოღვაწეობა და სახელი გაითქვა ძლიერის ხმით (ბასი). 15 წლის შემდეგ ბ. ქორიძე დაბრუნდა სამშობლოში და ცოტა ხანს აქაც მსახურებდა სცენაზე; შემდეგ თავი დაანება ოპერასა და შეუდგა ქართულ გალობა-სიმღერის შესწავლასა, ნოტებზე გადაღებასა და სწავლებას. მეტად საპატიოა ამ მხრით ქორიძის მოღვაწეობა. მის მეცადინეობით საეკკლესიო გალობა დასავლეთ საქართველოს კილოზე სამუდამოდ უზრუნველყოფილ იქმნა დაკარგვისაგან: გადაღებულ იქმნა ნოტებზე და სამი წიგნი კიდეც დაიბეჭდა და გამოიცა. უწინ თუ საეკკლესიო გალობის შესწავლა გაძნელებული იყო მით, რომ მსურველს უნდა ეძებნა მცოდნე და დიდის გაჭირებით ესწავლა, ახლა, ნოტების წყალობით, ეს საქმე გაადვილებულია და სწორე გზაზეა დაყენებული.

საეკკლესიო გალობასთან ერთად ბ. ქორიძე საეროსაც ენერგიულად იძიებდა და გადაჰქონდა ნოტებზე. წ.-კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ კიდეც გამოსცა პატარა კრებული სიმღერებისა, რომელშიაც, ვგონებთ, 9 ნაჭერია მოთავსებული. როგორც გადმოგვცეს, ბ. ქორიძეს ბევრი აქვს ჩაწერილი ქართული საერო ხმა, მაგრამ სამწუხაროდ, გამომცემელი ვერ უშოვია.

გარდა ამისა, ბ. ქორიძე მასწავლებლობს კიდეც. ერთ ხანს (მე-80 წლების დასაწყისში) ის იყო გალობის მასწავლებლად ქუთაისის სავაჟო გიმნაზიაში; შემდეგ კი გალობა-სიმღერის კერძო გაკვეთილებს აძლევდა და ახლაც ამ ასპარეზზე მოღვაწეობს.

ბოლო ხანებში ბ. ქორიძემ ქართველ მომღერალთა გუნდი შეადგინა და ყოველ წელს მართავს ხოლმე კონცერტებს, რომელთაც სიამოვნებით ესწრება ჩვენი საზოგადოება. კონცერტი იქნება გამართული აგრეთვე შაბათს, 30 მარტს; პროგრამმა ამ კონცერტისა ფრიად კარგია და საზოგადოებას შემთხვევა ეძლევა დასტკბეს ახალის სიმღერების კარგის შესრულებით.




„ახ დრონი, დრონი, ნაქებნი მტკბარად,
წარვიდნენ, განქრნენ სიზმარებ ჩქარად“.

— ნურც სცემ შაგირდსაო, ნურც 8 საათზე მეტს ამუშავებო და შკოლაშიაც შენი ხარჯით ასწავლეო. იმ მამაცხონებულებმა არ იციან, რომ ჩემი ჰარამზადა შვილებიც ვერ მიმიცია შკოლაში, შაგირდები როგორ მივცე. აახ, სადა ხარ ცხონებულო ჩემო ოსტატო ოჰანეზ, რომ არა ჰნახავ რა დღეში ვართ?!..

გამომცემელი და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Марта 1902 г. ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნ. გამომც. ქარ.თ. ამხანაგობისა.